

შპს „---არჯენი-----“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 2

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----3

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- 4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია ----- 4

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები ----- 6

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი საშუალებები

არამატერიალური აქტივები

შპს "არჯენი "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	753,346.00	769,102.00
არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	5,016.00	3,935.56
საინვესტიციო ქონება	<u>10</u>	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		758,362.00	773,037.56
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტი	<u>6</u>	295,369.00	696,997.02
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>7</u>	614,552.00	617,957.15
მარაგები	<u>8</u>	785,019.00	795,070.30
წინასწარ გადახდილი გადასახადები		10,090.80	11,379.62
გაცემული სესხები			
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,705,030.80	2,121,404.09
სულ აქტივები		2,463,392.80	2,894,441.65
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200.00	200.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2,193.00)	495,044.76
სულ კაპიტალი		(1,993.00)	495,244.76
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	<u>11</u>	1,296,694.00	1,502,386.75
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,296,694.00	1,502,386.75
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	<u>11</u>	353,872.80	309,712.10
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	814,819.00	546,652.04
საგადასახადო ვალდებულებები			40,446.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,168,691.80	896,810.14
სულ ვალდებულებები		2,465,385.80	2,399,196.89
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,463,392.80	2,894,441.65

დირექტორი



მთ ბუღალტერი



შპს "არჯენი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020
ამონაგები	<u>12</u>	6,109,614
თვითღირებულება	<u>13</u>	(5,403,096)
საერთო მოგება		706,518
სხვა შემოსავლები		2,619
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(618,879)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(276,240)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(33,407)
საოპერაციო მოგება		(219,388)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(269,038)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(31,230)
მოგება დაბეგვრამდე		(519,656)
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		(519,656)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(519,656)

დირექტორი



მთ ბუღალტერი



შპს "არჯენი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	200	495,044.76	495,245
წმინდა მოგება	-	(519,656)	(519,656)
სხვა სრული შემოსავალი	-	22,218	22,218
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(497,438)	(497,438)
გაცემული დივიდენდი	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		-
2020 წლის 31 დეკემბერი	200	(2,393)	(2,193)

დირექტორი



მთ ბუღალტერი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „---არჯენი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა --2008----- წლის --- ---1 ივლისი--საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206332501

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ----საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, ასევე ხე-ტყის მასალით- შპს „---არჯენი-----“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 200 – მდე დასახელების საქონლის რეალიზაციას, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა ერთი საწყობი და სამი სავაჭრო ობიექტი, ქალაქთბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი წინამძარაულის # 5 . 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელია შოთა ქართლელიშვილი და 49 %-იანი წილის მფლობელია ლელა როსტომაშვილი კომპანიის დირექტორებია: შოთა ქართლელიშვილი და ლელა როსტომაშვილი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2020 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 200 ლარს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შემცნის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
---------------------------	--------------------------------------

შენიშვნები	25- 30 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	10-15 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	7-12 წელი
ავტომობილები	9-15 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (15 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან(ქონების გადასახადი). გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები. ვაკავებთ და ვიხდით აგრეთვე სამშენოსავლო გადასახადს შესაბამისი განაცემების მიხედვით და აგრეთვე ვიხდით მოგების გადასახადს დივიდენდის გაცემისას, არაეკონომიკური საქმიანობისათვის ხარჯის გაწევისას და საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების შემთხვევაში.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე წევს სხვა ხარჯებს რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები მოგება–ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,2095

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსურიანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

ძირითადი საშუალებები

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მიწა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
ლარში									
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	618,563		53,738		248,202	66,116	66,178	-	1,052,797
შესყიდვა			7,133		36,700	3,581			47,414
შენიშვნის კაპიტალიზირება									-
გასვლა			678		8,300				8,978
გაუფასურება									-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია									-
გადაფასების რეზერვი									-
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	618,563	-	60,194	-	276,602	69,697	66,178	-	1,091,233
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	120,159		17,946		116,992	28,598			283,695
ცვეთის ხარჯი	21,157		5,978		24,605	7,673		-	59,413
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			113		5,108				5,221
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	141,316	-	23,811	-	136,489	36,271	-	-	337,887
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის ბოლოს	498,404	-	35,792	-	131,210	37,518	66,178	-	769,102
2020 წლის ბოლოს	477,247	-	36,383	-	140,113	33,426	66,178	-	753,346

შენიშვნა-5

კომპანიის ძირითადი საშუალებები ჩადებულია გირაოში, ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2019 წლის ბოლოს	10,550			10,550
შემოსავლა	2,000			2,000
გასვლა				-
2019 წლის ბოლოს	12,550	-	-	12,550
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2019 წლის ბოლოს	6,614			6,614
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	920			920
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2020 წლის ბოლოს	7,534	-	-	7,534
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2019 წლის ბოლოს	3,936	-	-	3,936
2020 წლის ბოლოს	5,016	-	-	5,016

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა-8	მარაგები		
	ლარში	12/31/2020	31/12/2019
	საქონელი	780,756	791,550
	სხვა მარაგები	4,263	3,520
		785,019	795,070
	Check	-	(0)
შენიშვნა-7	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
		12/31/2020	31/12/2019
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	574,427	598,854
	სხვა მოთხოვნები	40,125	19,103
		614,552	617,957
	Check	-	(0)
შენიშვნა-6	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
	ლარში	12/31/2020	31/12/2019
	ფული სალაროში	31,903	70,871
	ფული საბანკო ანგარიშებზე	263,466	626,126
		295,369	696,997
	Check	-	(0)
შენიშვნა-9	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
	ლარში	12/31/2020	31/12/2019
	სავაჭრო ვალდებულებები	290,230	222,718
	გადასახელი ხელფასები	18,103	
	გადასახდელი პროცენტები	506,486	323,934
		814,819	546,652
	Check	(0)	(0)

6. სესხები

შენიშვნა-11

სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	12/31/2020	31/12/2019	12/31/2020	31/12/2019
ბანკის სესხები				205,693
დაკავშირებული მხარეების სე	353,872.80	309,712.10	1296694	1296694
ოვერდრაფტები				
სულ სესხები	353,873	309,712	1,296,694	1,502,387
	-	-	-	0

გრძელვადიანის სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 20 %

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ინაკადების მოძრაობა	ფინანსური ინდიკატორები	დამოკიდებული მხარეები
სესხის ძირის დაფარვა		
სესხის აღება		
პრეცენტის დაფარვა		
არაფულადი ინაკადების მოძრაობა		
პროცენტის დარიცხვა		
გადაფასება		
2020 წლის 31 დეკემბერი		

7. ამონაგები და ხარჯები

ამონაგები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა-12 ამონაგები

ლარი

საქონლის რეალიზაცია

Check

12/31/2020

6,109,615

6,109,615

შენიშვნა-13 თვითღირებულება

ლარი

საქონლის თვითღირებულება

Check

12/31/2020

5,403,096

5,403,096

შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

საწვავის ხარჯი

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი

რეალიზაციის დანახარჯები

12/31/2020

69863.2

50067.15

156310

276,240

შენიშვნა-15 სხვა ხარჯები

ლარი

სხვა ხარჯები

ქონების გადასახადი

Check

12/31/2020

26,823

6584

33,407

შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი

შრომის ანაზღაურება

ცვეთა და ამორტიზაცია

საკონსულტაციო ხარჯი

ბანკის მომსახურება

იჯარის ხარჯი

მივლინების ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

კომუნიკაციის ხარჯები

Check

12/31/2020

422,903

60333.55

1200

4,056

101370.22

4742.92

6724.98

17548

618,879

შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი

Check

12/31/2020

8,986

260,052

269,038

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს დამფუძნებლებლებს ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ.

